# ხელშეკრულება №147

ყვარელი 14 აგვისტო 2012 წ.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ბესიკ ზანდარაშვილის სახით, ერთის მხრივ და შპს. „აკა ენერჯი" შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული წარმოდგენილი დირექტორის კახაბერ აზიკურის სახით მეორეს მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულების საგანი

ქ ყვარელში გარეგანათების რეაბილიტაცია

## 2. სამუშაოს შესრულების ვადები და ღირებულება

2.1. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა 14/08-დან–14/09-მდე

2.2. შესყიდვის ობიექტი ღირებულება შეადგენს 82000(ოთხმოცდაორიათასი) ლარს.

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარებში, „მიმწოდებლის" მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ფორმა №2-ს წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. „შემსყიდველი" „მიმწოდებელს" ავანსის სახით უხდის ობიექტის საერთო ღირებულების 50%, ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ორი თვით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1. "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში აუნაზღაურის სამუშაოს ღირებულება.

4.2. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.1. განახორციელოს სამუშაოები, უზრუნველყოს ხარისხი და დაასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

*მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში თავისივე ბრალეულობით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, სამუშაოს მიღება-ჩაბარებიდან სამი წლის განმავლობაში.*

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების („შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი პირების) ხელისმოწერის შემდეგ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული კვირისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2% ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა

## 8. დავათა განხილვის წესი

8.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 9. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ქვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

მისამართი კუდიგორის ქ. №1;

საბანკო რეკვიზიტები სს ლიბერთი ბანკის ყვარლის ფილიალი ბანკის კოდი–LBRTGE22 ანგარიში ა/ნ – GE31LB01 2014 5044 0960 00 საიდენტიფიკაციო კოდი 241578574

„მიმწოდებელი"

შპს „აკა ენერჯი"

მისამართი ქ. დავით აღმაშენებლის №43 საიდენტიფიკაციო კოდი 231289511

საბანკო რეკვიზიტები ანგარიშის № GE96LB0113135430140000. სს, „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTG22

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი: შპს „აკა ენერჯი"-ს დირექტორი

ბ. ზანდარაშვილი

„____________"

[illegible]

„____________"